საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

27/06/2024

MIA 2 24 01917797

შპს "აშენდი ჯგუფი"-ს დირექტორს ნუგზარ კუბლაშვილს
ქ. თბილისი, ნადირა ხოშარაულის ქუჩა N25
ელ.ფოსტა: marykhorbaladze28@gmail.com

ბატონო ნუგზარ,

თქვენი მიმდინარე 2024 წლის 24 მაისი N 1530050; 29 მაისის N 1572068 და 18 ივნისის N 1806403 წერილებთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ "სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილების მე-6 მუხლის (სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები დასახლებებისა და ობიექტების ტერიტორიებისათვის) პირველი პუნქტის მოთხოვნების/შესაბამისად "გასასვლელები და მისასვლელები უნდა უზრუნველყოფდეს სახანძრო ტექნიკის შენობა-ნაგებობებთან შეუფერხებლად მისვლის შესაძლებლობას წელიწადის ნებისმიერ დროს". ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შენობა-ნაგებობებთან მისასვლელ გზებზე და გასასვლელებში შლაგბაუმების, ჭიშკრების, ბარიერების და ბლოკირების სხვა სისტემების/საშუალებების, მოწყობა, არ უნდა ზღუდავდეს შენობა-ნაგებობებთან შეუფერხებლად მისვლის შესაძლებლობას.
თქვენს მიერ წარმოდგენილ განცხადებაში აღნიშნულია, რომ თქვენი კუთვნილი ობიექტის წითელ ხაზებში შემავალ ტერიტორიაზე გეგმავთ შლაგბაუმის მოწყობას, რომელზეც უზრუნველყოფილ იქნება 24-საათიან რეჟიმში მუდმივი მეთვალყურეობა მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ით, შესაბამისად 24-საათიან რეჟიმში იქნება უზრუნველყოფილი საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ სახანძრო ტექნიკის გამტარობა და შენობა-ნაგებობებთან შეუფერხებლად მისვლის შესაძლებლობა.
აღნიშნულის გათვალისწინებით, იმ პირობებში, როდესაც არ შეფერხდება შენობა-ნაგებობებთან სახანძრო ტექნიკის მისვლა, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული პირობების დაცვით შესაძლებელია მოეწყოს თქვენს ტერიტორიაზე შლაგბაუმი.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
კუჭაშვილი დავითი